ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის 2019-2022 (PGGII)

პროექტი: სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა

კომპონენტი 1: სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება და ადვოკატთა პროფესიონალიზმის ამაღლება საქართველოში

პროექტის მიზანი

- სასამართლო სისტემისა და ადვოკატთა ასოციაციის ქმედითობის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ამაღლება, გაუმჯობესებული საკანონმდებლო გარანტიების, მმართველობის პრაქტიკისა და სასწავლო შესაძლებლობების მხარდაჭერის გზით, ასევე, სასამართლო სისტემის შიგნით საქმისწარმოების პროცედურებისა და მენეჯმენტის პრაქტიკების გაუმჯობესება

პროექტის ბენეფიციარები

- საზოგადოება
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო
- საერთო სასამართლოები
- იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და მისი წევრები
- სასამართლოს მომხმარებლები
- საქართველოს პარლამენტი

განხორციელების გზები

- ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოებისგან და მისი წევრი სახელმწიფოებიგან სამართლებრივი ანალიზის მიღების, საქმიანი კავშირების დამყარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების უზრუნველყოფა;
- CEPEJ-ის ინსტრუმენტების, რეკომენდაციების, მეთოდოლოგიისა და პრაქტიკული რჩევების გამოყენებით, საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის

მოსალოდნელი შედეგები

- მოსამართლეთა დანიშვნის, შეფასების, დაწინაურებისა და ანგარიშვალდებულების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები გადახედილია და შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს;
- სასამართლოს სერვისების ხარისხი გაუმჯობესებულია CEPEJ-ის ინსტრუმენტების გამოყენებისა და მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების გადამზადების ხარჯზე;
- სასამართლოს მომხმარებლები სარგებლობენ სასამართლო სისტემის ფუნქციონირების

http://partnership-governance2-eu.coe.int

ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესება;

- მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება სახელმწიფო ორგანოებთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებთან და პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილი ცვლილებების ინსტიტუციონალიზაციის გზით შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფა;
- პროექტი ეფუძნება PGG პროგრამის პირველი ეტაპის (2015-2018) ფარგლებში მართლმსაჯულების სფეროში მიღწეულ შედეგებს გაზრდილი ეფექტიანობით, ანგარიშვალდებულებითა და გამჭვირვალობით;
- საკონსტიტუციო სასამართლო უფრო ეფექტურად მუშაობს;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაუმჯობესებულია პროფესიაში შესასვლელი ადაპტაციის პროგრამა, ხოლო მისი წევრები სარგებლობენ გაუმჯობესებული განგრძობადი განათლეიბის პროგრამებით.

პროექტის ღირებულება

- კომპონენტი 1-ის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 1 220 000 ევროს.
- 80% დაფინანსებულია ევროკავშირის, ხოლო 20% დაფინანსებულია ევროპის საბჭოს მიერ. პროექტს ახორციელებს ევროპის საბჭო.

პროექტის ხანგრძლივობა

- პროგრამა დაიწყო 2019 წლის 1 იანვარს და 2022 წლის 31 აგვისტომდე გაგრძელდება

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ:

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატს. კერძოდ, მართლმსაჯულებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტს

საკონტაქტო ინფორმაცია

<u>პროექტის გუნდი სტრასბურგში</u>

- ლილია გრეტარშდოტირი, თანამშრომლობის პროგრამების ხელმძღვანელი, lilja.gretarsdottir@coe.int
- ლილიტ დანეგიან-ბოსლერი, თანამშრომლობის პროგრამების ხელმძღვანელის მოადგილე, lilit.daneghian-bossler@coe.int
- მაჰირ მუშტეიდზადა, სამმართველოს ხელმძღვანელი, mahir.mushteidzada@coe.int
- ნატალია ხოდაკევიჩი, პროექტის მენეჯერი

natalia.khodakevich@coe.int

- ჯოვანა მატიჩი, პროექტის მენეჯერი
  jovana.matic@coe.int

<u>პროექტის გუნდი თბილისში</u>

- სოფიო წაქაძე, პროექტის უფროსი ოფიცერი
  sophio.tsakadze@coe.int
- უშანგი ბახტაძე, პროექტის ოფიცერი
  ushangi.bakhtadze@coe.int

კომპონენტი 2: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის სისხლის სამართლებრივ ასპექტებზე მუშაობა

პროექტის მიზანი

- სისხლის სამართლის პროცესის წარმოების გაუმჯობესება ევროპული სტანდარტების შესაბამისად

პროექტის ბენეფიციარები

- ფართო საზოგადოება
- მოსამართლეები, პროკურორები, იურისტები

პროექტის განხორციელების გზები

- პროექტი თავს მოუყრის სხვადასხვა სფეროს ექსპერტებს, კანონმდებლობის, სტრატეგიების, ტრენინგ პროგრამებისა და მასალების შესამუშავებლად. სემინარები/მრგვალი მაგიდის დისკუსიები და/ან კონფერენციები ხელს შეუწყობს ცნობიერების გაზრდას გამოწვევების, ახალი პროცედურების, ფართო აუდიტორიისათვის სპეციფიურ თემაზე სპეციფიური ინფორმაციის მიწოდების კუთხით და შეიტანს წვლილს მიღწეული შედეგების ხილვადობაში.

- ტრენინგების საშუალებით მოხდება განახლებული ინფორმაციის გავრცელება, ხოლო ტრენინგის მონაწილეები შეძლებენ, დაეუფლონ ახალ ცოდნას და პროფესიულ უნარებს, კვალიფიციურ ტრენერებთან ერთად. შესაძლებლობების განვითარების აქტივობების ორგანიზება მოხდება "იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის ადამიანის უფლებების სწავლების ევროპული პროგრამის" (HELP) ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით;

მოსალოდნელი მიღწევები

- სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დაცვის მექანიზმებისა და გარანტიების გაუმჯობესება ევროპული სტანდარტების, მათ შორის, გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებული სტანდარტების შესაბამისად;

- მართლმსაჯულების სექტორში დაინტერესებული მხარეების ანალიტიკური და მეთოდოლოგიური შესაძლებლობების გაუმჯობესება, სისხლის სამართლის სისტემის ეფექტურობის შესაფასებლად, მათ შორის, გენდერული პერსპექტივიდან და მტკიცებულებაზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შესამუშავებლად;

- გენერალური პროკურატურის/იუსტიციის სამინისტროს აღჭურვა შესაძლებლობებითა და მეთოდოლოგიით, რომელიც ხელს უწყობს სამართლებრივ სფეროში ორმხრივ თანამშრომლობას, ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

- გამოქვეყნებული/ნათარგმნი რესურსები პრაქტიკოსებს უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ტექსტებითა და დოკუმენტებით, რომელიც სხვა ენებზეა ხელმისაწვდომი. აღნიშნული, ასევე, სამიზნე ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომს გახდის ევროპელი/ევროპის საბჭოს კონსულტანტების/დაწესებულებების გამოცდილებასა და ცოდნას.

პროექტის ღირებულება

- კომპონენტი 2-ის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 710 000 ევროს.
- 80% დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო 20% დაფინანსებულია ევროპის საბჭოს მიერ. პროგრამას ახორციელებს ევროპის საბჭო.

პროექტის ხანგრძლივობა

- პროგრამა დაიწყო 2019 წლის 1 იანვარს და 2022 წლის 31 აგვისტომდე გაგრძელდება

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ:

- ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ადამიანის უფლებათა პოლიტიკისა და თანამშრომლობის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია

<u>პროექტის გუნდი სტრასბურგში:</u>

- ლილია გრეტარშდოტირი, თანამშრომლობის პროგრამების ხელმძღვანელი, lilja.gretarsdottir@coe.int
- ლილიტ დანეგიან-ბოსლერი, თანამშრომლობის პროგრამების ხელმძღვანელის მოადგილე, lilit.daneghian-bossler@coe.int
- მაჰირ მუშტეიდზადა, სამმართველოს ხელმძღვანელი, mahir.mushteidzada@coe.int

<u>პროექტის გუნდი თბილისში:</u>

- გიორგი გიორგაძე, პროექტის უფროსი ოფიცერი ელ-ფოსტა: giorgi.giorgadze@coe.int

აღნიშნული პროექტი ხორციელდება საქართველოსთან არსებული ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამის, "პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის", მეორე ეტაპის (PGGII) ფარგლებში.

2014 წლის აპრილში ევროკავშირი და ევროპის საბჭო შეთანხმდნენ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან - აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა - თანამშრომლობის მიზანმიმართული ღონისძიებები განხორციელდება პროგრამის "პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" ფარგლებში. პროგრამის პირველი ფაზა (PGGI) დაიწყო 2015 წელს და დასრულდა 2018 წელს; მეორე ფაზა ((PGGII) დაიწყო 2019 წელს და გაგრძელდება 2022 წლის აგვისტოს ჩათვლით.

თანამშრომლობის ღონისძიებები მიზნად ისახავს, განამტკიცოს ევროპის საბჭოს წევრი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (გამონაკლისია ბელარუსი) შესაძლებლობა, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, განახორციელონ შიდა რეფორმები ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით.